გილოცავთ დამდეგ 2024 წელს!

ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№12(116)
დეკემბერი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა

„ჩვენ ვიბრძოლეთ!
ჩვენ გავიმარჯვეთ!..“

2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო.

„...ევროპულმა საბჭომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ.

ევროკავშირი დაიწყებს მოლაპარაკებებს ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მას შემდეგ, რაც მიაღწევს წევრობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის აუცილებელ ხარისხს. საბჭომ მოიწვია კომისია, რათა მარტამდე მოამზადოს ანგარიში ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად.

იმედის ნათელი სიგნალი მათი ხალხისა და ჩვენი კონტინენტისთვის“, – დაწერა სოციალურ ქსელში ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა **შარლ მიშელმა**.

ამ დღეს დიდი მოლოდინით ელოდა მთელი ქვეყანა, მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, სრულიად საქართველოს მოსახლეობა.

„...არის, ასრულდა იმედი“, რომელსაც უფრო დიდი იმედებისკენ მივყავართ – ევროკავშირის წევრობისაკენ!

იმავე დღეს საქართველოს მოსახლეობას ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა:

„...დიდი სიამაყით და დიდი სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას - საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. გილოცავთ ყველას!.. ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის გამარჯვება. ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული, დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისთვის მოიპოვა. ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!

დასასრული მე-2 გვერდზე

„...თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგიზხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“.

ჰუგო ჰუპეხტი

ავსტრიელი პოეტი,
„ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე
მთარგმნელი

უფლის მადლი და მშვიდობა ტრიალებდეს ქვეყანაში! 3

წილკნის დევნილთა დასახლებაში არჩილ ტატუნაშვილის სახელობის მემორიალი ოფიციალურად გაიხსნა 4

მიხეილ მუსხელიშვილი – ევროკავშირის შექმნის იდეოლოგი და ევროპის კონსტიტუციის ფუძემდებელი 6

ავილეგ ფერებს, ქართულ მიწას რაც აამზევებს... 9

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა

პირველი გვერდიდან

მე მინდა, ჩემი გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩვენი ევროპელი მეგობრების მიმართ. პირველ რიგში, მინდა დავიწყო ჩემი მადლობით ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენის მიმართ. მე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შარლ მიშელს, რომელმაც ახლა დამირეკა და პირადად მომილოცა დღევანდელი დღე და ეს ისტორიული გამარჯვება. მე ასევე მაქვს პატივი, გადმოგცეთ მისი მილოცვა ქართველი ხალხისადმი. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ ვარჰეის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩართული იყო და იყო ერთ-ერთი მთავარი გულშემატკივარი ქალბატონ ურსულასთან და ბატონ შარლ მიშელთან ერთად და რაც მთავარია - ევროკავშირის 27-ვე ქვეყნის თითოეულ ლიდერს მე მინდა მადლობა გადავუხადო ერთსულოვნებისთვის და ერთხმად გამოხატული ძლიერი მხარდაჭერისა და ნდობისთვის", - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა გამარჯვება მიულოცა გუნდის თითოეულ წევრსა და პარტიის დამფუძნებელს - ბიძინა ივანიშვილს.

„მინდა განსაკუთრებულად მივულოცო დღევანდელი ისტორიული გამარჯვება ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, მთავრობის თითოეულ წევრს, ათასობით საჯარო მოხელეს, ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პარტიას, მმართველ გუნდს, თითოეულ წევრს, ვინც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ამ დიდი ისტორიული გამარჯვების მიღწევაში. მინდა მივულოცო ყველას. მინდა მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს - ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა სწორედ დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება და ეს წარმატება. 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენმა გუნდმა, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა, მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე შეიძლება ითქვას არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობისა.

მე მხვდა წილად პატივი, რომ ჩვენი ქვეყნის სახელითა და ჩვენი გუნდის სახელით ხელი მომეწერა ჯერ ასოცირების შეთანხმებაზე, შემდეგ ჩემი მმართველობის პირველი პრემიერობის დროს ჩვენ წარმატებით დავასრულეთ უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, შარშან უკვე მე მქონდა პატივი, რომ უკვე ოფიციალურად ჩვენი ქვეყნის სახელით შემეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. შარშან მივიღეთ ევროპული პერსპექტივა, რითაც დამტკიცდა, რომ ჩვენი ქვეყანა გახდება ევროპული ოჯახის წევრი და დღეს უკვე 14 დეკემბერი ჩაიწერება როგორც ისტორიული თარიღი. საქართველო დღეიდან არის ევროპული სახელმწიფო, ევროპული ქვეყანა. საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ასე რომ, ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ძვირფასო მოქალაქენო, ეს არის ჩვენი შრომის, ჩვენი ბრძოლის შედეგი და კიდევ ერთხელ მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ისტორიული გამარჯვების საქმეში თითოეული აგური დადო და ეს გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს.

თბილისი. 15 დეკემბერი. 2023 წელი. კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართული საზეიმო ღონისძიება

მე ასევე მინდა ყველა მოგიწვიოთ ხვალ, 15 დეკემბერს, 17:00 საათზე, თავისუფლების მოედანზე, რათა ერთად აღვნიშნოთ ეს ისტორიული გამარჯვება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის. ხვალინდელი დღე უნდა იყოს საერთო, ეროვნული ზეიმისა და საერთო გამარჯვების დღე. დიდი მადლობა. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი", - განაცხადა პრემიერმა.

ჰას ნიშნავს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი: ჰა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ქვეყანა?

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან" ევროპულ-ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გიორგი მელაშვილმა აღნიშნა, „ჩვენი თვითმიზანი არა სტატუსის მიღება, არამედ საბოლოო ჯამში, ევროკავშირის წევრობა და ნორმალურ, დალაგებულ, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში ცხოვრებაა. ამ ორივე მიზნის მიღწევა, რომელიც ქართული სახელმწიფოს ეროვნული ამოცანებია, შესაძლებელია მხოლოდ სტატუსის მიღების შემდეგ. სტატუსი არის პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რასაც ჰქვია ევროპული საქართველო და თანამედროვე, ნორმალური სახელმწიფო. სტატუსის გარეშე დანარჩენი გზის გავლა შეუძლებელია. რაც შეეხება კონკრეტულ ბენეფიტებს, ანუ მონეტარულ სარგებელს, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, უპირველესად, არის წვდომა გაფართოების ფონდებზე. აქამდე საქართველოს ჰქონდა წვდომა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში იმ ფინანსურ დახმარებაზე, რომელიც გამოყოფილი იყო რამდენიმე ქვეყნისთვის, თუმცა ევროკავშირის მიზანი არ იყო საქართველოს სასწრაფო განვითარება და მომზადება წევრობისთვის.

დასასრული მე-4 გვერდზე

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

გილოცავთ 2024 წლის შემობრძანებას!

ისტორიის კუთვნილება გახდა 2023 წელი.

განვლილ პერიოდებს ყოველთვის თან ახლავს თვალის გადავლების, განხილვის, განსჯის აუცილებლობა, მიღწეულის შეფასება და იმ სხვადასხვა საკითხის დადებითად გადაწყვეტის გზების ძიება, რომლებიც დღეს ჩვენს, დევნილთა დასახლებების და ზოგადად ახალგორის რაიონის მცხოვრებთა წინაშე დგას... ახალი წელი მათ დადებითად გადაწყვეტისა და ახალი პროექტების განხორციელების მზადყოფნისათვის განგვაწყობს.

განვლილლ 2023 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი და ისტორიული დღე 14 დეკემბერია, რომელიც მთელმა ქვეყანამ ერთსულოვნებით, პოზიტიურად, საზეიმოდ აღნიშნა.

14 დეკემბერს საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. ეს გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა ხალხმა ქვეყნის მმართველი გუნდის, მთავრობისა და ხელისუფლების სწორი, გონივრული მუშაობით, გადაწყვეტილებებით, მოქმედებით, მოღვაწეობით.

ყველასათვის ნათელია, რომ 27 ქვეყნის მხარდაჭერა და გვერდით დგომა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭება, ეს არის მიახლოება ევროპული ოჯახის წევრობასთან, რაც ჩვენს ქვეყანას, რომელიც უკვე 32 წელია დაეხსნა საბჭოთა კავშირის მარწუხებს, მნიშვნელოვნად გააძლიერებს როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. ქვეყანას გაეხსნება მეტი შესაძლებლობა ინვესტიციების მოსაზიდად, მეტი რეფორმის გასატარებლად, ყველა დონეზე იმ პარამეტრების გასაუმჯობესებლად, რაც საბოლოოდ გაგვიხსნის ევროკავშირის კარს, როგორც წევრ სახელმწიფოს. ყველა სიკეთის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

ახლა, ქვეყნისათვის ევროპის კანდიდატის სტატუსის მინიჭების სიხარული და ახალი წლის დადგომის საზეიმო განწყობილება გვაქვს და მინდა სრულიად საქართველოს, ახალგორელებს, ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრებ ჩვენს მოსახლეობას, ასევე უცხო ქვეყანაში მცხოვრებ ჩვენს ემიგრანტებს მივულოცო ქვეყნისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და 2024 წლის შემობრძანება. კეთილი იყოს ჩვენი ხალხისთვის. პირველ რიგში, მშვიდობა, ულევი სიკეთე, სიხარული, წარმატებები მინდა გისურვოთ, როგორც ქვეყნისთვის გაწეულ შრომაში, ასევე პირად ცხოვრებაში.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2024 წელი და ამ წელს ახალგორის რაიონისათვის იმ ნატვრის შესრულება შეაძლებინოს, რაც თითოეული ახალგორელის გულსა და ფიქრშია, – დასრულებულიყოს რუსული ოკუპაცია ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მშობლიურ მიწაზე!

გელა შერმადინი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი

უფლის მადლი და მშვიდობა ტრიალებდეს ქვეყანაში!

დამდეგ 2024 წელს მოგილოცავთ ყველას და უპირველესად, ახალგორელებს.

რით იყო გამორჩეული გასული 2023 წელი?

უპირველესად, როგორც ექიმს, მახარებს ის, რომ უფლის წყალობით, დასრულდა პანდემია და უკან დარჩა ის კოშმარი, რაც ბოლო წლებში გამოვიარეთ.

მადლობა უფალს, ამ წლის დასასრულს მოხდა ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მოვლენა – ევროკავშირის წევრობის კანდიდატად აღიარება, რაც მომავალში უამრავი წარმატების საწინდარია.

იყო სხვა პირადი წარმატებებიც, რაც ჩემს ოჯახს, შვილებს, ახლობლებს, მეგობრებს უკავშირდება. იყო ტკივილიც, დაბრკოლებაც, იმედიც, გაუგებრობაც, რაც ჩვეულებრივია ცოცხალი ადამიანისთვის...

რას ვისურვებდი ახალ 2024 წელს? – უპირველესად იმას, რასაც 15 წელია, ველოდებით – ახალგორის და სხვა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. ჩემი მხარე მენატრება, მინდა, ჩვენი შვილები ხარობდნენ მამულ-დედულში. თუ უფრო ვიწრო სფეროში გადავალთ, ახალგორის რაიონული პოლიკლინიკის აშენება-აღჭურვას ჩემი თანამშრომლებისთვის შესაფერისი ანაზღაურებით.

ამ ყველაფრის იმედი მაქვს და მწამს – კაცთაგან შეუძლებელი შესაძლებელია ღმერთისთვის. მინდა იყოს მშვიდობა, ხალისი, ბედნიერება, სიმრავლე, ბევრი წარმატება და ბარაქა, ბევრი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ჩვენ შორის და ახალ თაობაში; მინდა, უდროოდ არ ტოვებდნენ სიცოცხლეს ახალგაზრდები, უცხოეთში არ იხვეწებოდნენ ოჯახის სარჩენად.

მინდა, გვიყვარდეს სიცოცხლე და ადამიანები, გვიხაროდეს ერთმანეთის წარმატებები, უფლის მადლი და მშვიდობა ტრიალებდეს ქვეყანაში და ჩვენს ოჯახებში!

გილოცავთ სიყვარულით!

ცირა გათენაშვილი

ახალგორის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა

მე-2 გვერდიდან

ანუ ევროკავშირის მიერ ფონდების გამოყოფა, რა თქმა უნდა, გაიზრდება. ასევე, გაიზრდება ფინანსური დახმარება და ამ შემთხვევაში, ნაადრევია იმაზე საუბარი, უშუალოდ რამდენჯერ გაიზრდება (ეს გვეცოდინება ევროკავშირის გრძელვადიანი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ), თუმცა დანამდვილებით შეგვიძლია ორი რამის თქმა: 1. პირდაპირი დაფინანსების გზით გაცილებით მეტი ფული შემოვა საქართველოში და 2. მნიშვნელოვანია ჩვენი ჩართულობა ევროკავშირის პროგრამებში, როგორიცაა მაგ. ერასმუსი, რომელიც აფინანსებს ერთის მხრივ სტუდენტების საზღვარგარეთ განათლების მიღებას და მეორეს მხრივ, აკადემიურ კვლევას საქართველოში. ასეთი პროგრამები ევროკავშირს უამრავი აქვს და მოიცავს განათლებას, აგრარულ სექტორს, თავდაცვას და ა.შ. ანუ ყველა სფეროს. ამ პროგრამებზე წვდომის გახსნა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ასევე, საქართველოს აღქმა უკვე კანდიდატ ქვეყნად, რომელიც გახდება ამ გუნდის წევრი და რომლის პრემიერ-მინისტრი მომავალში იჯდება უკვე ევროპულ საბჭოში - ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ზუსტად ამ ორ რაღაცას მივიღებთ პირდაპირ.

რაც შეეხება პოლიტიკურ ბენეფიტებს, ესენია: 1. გვექნება მსოფლიოს 27 წამყვანი ქვეყნის მხარდაჭერა. 2. ბლოკის წევრობა, ანუ იმ ოჯახში და იმ პოლიტიკურ-კულტურულ ოჯახში დაბრუნება, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით და 3. გაძლიერებული დახმარება ჩვენი ეროვნული ამოცანების წინაშე - იქნება ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომელშიც ევროკავშირი მონიტორინგის მისიისა და საქართველოს მხარდაჭერის თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპარეზზე ისედაც აქტიურადაა ჩართული; წვდომა ევროკავშირის მშვიდობის ფონდზე, რომელიც რეალურად, თავდაცვისუნარიანობის გაზრდისკენაა მიმართული; მომავალში უფრო აქტიური მხარდაჭერა (თუ საქართველოს მთავრობა იმუშავებს ამ საკითხზე) ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით, საქართველოს ინტერესების უკეთესი დაცულობა არა მარტო ევროპაში, არამედ გლობალურად.

უსაფრთხოების კუთხით, საქართველოსთვის საუკეთესო გარანტიაა უკრაინის რუსეთთან ომში გამარჯვება. თუმცა, კანდიდატის სტატუსი ჩვენთვის კიდევ ერთხელ არის წვდომის გახსნა ევროკავშირის მშვიდობის ფონდზე, რომელიც, ნატოს გარდა, ევროპის ყველაზე მსხვილი თავდაცვითი მექანიზმია და ამას ემატება ორმხრივი შეთანხმებები, მაგ. გერმანიის მიერ გამოცხადებულ „ჟამთა ცვლა“-ზე, რომლის ფარგლებში გერმანული შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ამაში ასევე იგულისხმება მხარდამჭერი ქმედებები გერმანიის ფარგლებს გარეთ და ამ შემთხვევაში, ეს არის პირდაპირ მიმართული ბალტიის ქვეყნებზე და საქართველოზე. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სომხეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, როდესაც ეს ქვეყანა ცდილობს რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას, სომხეთისთვის ევროპასთან დასაკავშირებლად ერთადერთი გზა საქართველო ხდება.



თბილისი. 15 დეკემბერი. 2023 წელი. კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამართული საზეიმო ღონისძიება

აქედან გამომდინარე, საქართველოს არა მარტო რეგიონალური ტრანზიტის, არამედ ასევე, სერიოზული პოლიტიკური მოთამაშის ფუნქცია აკისრია, რომელზეც პირდაპირ არის დამოკიდებული რეგიონის სხვა ქვეყანა. ფაქტობრივად, რაც მოხდება საქართველოში, პირდაპირ განსაზღვრავს სომხეთის ბედს პერსპექტივაში, ისევე, როგორც ჩვენს ბედს განსაზღვრავს უკრაინა. კანდიდატი ქვეყნის სტატუსი გვავალდებულებს, გავაგრძელოთ რეფორმების გატარება, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სტატუსი უპირველესად ავალდებულებს საქართველოს პოლიტიკურ აქტორებს, გამოიჩინონ ცივილურობა და ქვეყანაში შემცირდეს პოლარიზაცია, პოლიტიკოსებმა დაიწყონ მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის. უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ეს არის პასუხისმგებლობა მმართველი პარტიისთვის, ვინაიდან ევროპის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფასეულობა თავისუფალი არჩევნებია. ამის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ექნება და დიდი ყურადღება დაეთმობა 2024 წლის არჩევნებს, რომელიც უნდა ჩატარდეს დემოკრატიულად და ევროპული სტანდარტების მიხედვით.

იაპონიის საელჩოს დელეგაცია წეროვანში

წეროვნის დევნილთა დასახლებას იაპონიის საელჩოდან დელეგაცია სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და იაპონურ მხარეს შორის გაცნობითი სახის შეხვედრა გაიმართა.

საუბარი შეეხო როგორც დევნილთა დასახლებასა და არსებულ საჭიროებებს, აგრეთვე საელჩოს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სარგებელს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, დელეგაციის წევრებმა, იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ახალგორის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული მძიმე ტექნიკა მოინახულეს და სამომავლო თანამშრომლობის საკითხი განიხილეს.

შეხვედრას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე - გიორგი ჩიფჩიური, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი და გამგებლის მოადგილე ბონდო ყველაშვილი, იაპონიის ელჩის მოადგილე სუძუკი ტოშიიუკი, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საელჩოსა და გამგეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

წილკნის დევნილთა დასახლებაში არჩილ ტატუნაშვილის სახელობის მემორიალი გაიხსნა

წილკნის დევნილთა დასახლებაში არჩილ ტატუნაშვილის სახელობის მემორიალი ოფიციალურად გაიხსნა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ჯონი ტატუნაშვილმა, მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა წილკნის დევნილთა დასახლებაში არჩილ ტატუნაშვილის სახელობის მემორიალი ოფიციალურად გახსნეს.

არჩილ ტატუნაშვილს დასახლებაში სკვერისა და სპორტული მოედნის გახსნის სურვილი სიცოცხლეშივე ჰქონდა. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა კი ეს სურვილი რამდენიმე წლის წინ განახორციელა.

მემორიალის გახნის ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გიორგი კაპანაძე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, ახალგორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობაც ესწრებოდა.

2018 წლის 22 თებერვალს არჩილ ტატუნაშვილი საოკუპაციო რეჟიმმა ახალგორში უკანონოდ დააკავა. 23 თებერვალს კი ცნობილი გახდა, რომ ის მოკლეს. ცხედარი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოგვიანებით გადმოასვენეს და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს.

უმცროსი სერჟანტი არჩილ ტატუნაშვილი საქართველოს თავდაცვის ძალებში 2007-2011 წლებში მსახურობდა.

სრულიად საქართველოს, ქსნის ხეობელებს ვულოცავ ევროპისკენ მიმავალი გზის დასაწყისს და შობა-ახალ წელს

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს. ეს მოლოდინი უკეთესობისკენ ცვლილებებთან, სურვილების, ოცნებების, მიზნების განხორციელებასთან ასოცირდება.

ახალი წლის დადგომა და ქრისტესშობის დღესასწაული ისეთი დღეებია, როდესაც ყოველი სევდა, პრობლემა დროებით ფერმკრთალდება, გული სითბოთი ივსება, საქმიანობა კი საზეიმოა.

ეს დღეები ხომ ძველის დავიწყების, ძველი წლისთვის გატანების და სიახლის, სიხარულის სიმბოლოა...

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ საახალწლო დღეებში ქართველი ერის ნება აღსრულდა და ჩვენს პატარა ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა... ეს სიხარული საყოველთაოა, მაგრამ ჩვენ, ოკუპირებული ახალგორის მკვიდრთ, ორმაგად გვახარებს, რადგანაც გვჯერა, – ევროპის გზა უკეთესობისკენ შეცვლის ჩვენი დევნილობის სევდიან ყოფას.

სრულიად საქართველოს, ქსნის ხეობელებს ვულოცავ ევროპისკენ მიმავალი გზის დასაწყისს და შობა-ახალ წელს.

ამ დღეებში ფრეზეთის საბავშვო ბაღში ჩვენი თვალებციმციმა პატარების საზეიმო განწყობა კიდევ უფრო ამაღლებულია. ღმერთმა არ მოუშალოთ ეს სიხარული არასდროს. ჩვენი ქვეყნის მომავალი, ხვალინდელი დღე მათ ეკუთვნით და დარწმუნებული ვარ, ეს მომავალი მათ ბევრად უკეთეს საქართველოში – ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოში ცხოვრებას უმზადებს.

მარიკა გოჭაშვილი

ფრეზეთის საბავშვო ბაღის მენეჯერი

მიხეილ მუსხელიშვილი – ევროკავშირის შექმნის იდეოლოგი და ევროპის კონსტიტუციის ფუძემდებელი

ევროკავშირის შექმნის იდეოლოგი და ევროპის კონსტიტუციის ფუძემდებელი, რომელმაც სიმბოლურად მოშალა საზღვრები და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, ქართველი – მიხეილ მუსხელიშვილია.

ამის შესახებ ინფორმაცია 2020 წლის ივლისში გამოაქვეყნა ფეისბუკ-გვერდმა „სფიჩი“.

სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთ იდეოლოგი და ფუძემდებელი იყო. 1948 წელს მან, ფრანგ მკვლევართან ერთად, ევროპის კონსტიტუციის პროექტი შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროკავშირის კონსტიტუციას (ამ დროს ჟან მონეს და რობერტ შუმანს, ჯერ საერთოდ არ ჰქონდათ დაყენებული მსგავსი იდეა).

ქართველმა პროფესორმა ფრანგულ ენაზე გამოსცა მნიშვნელოვანი ნაშრომი “ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა”, რომელშიც დაასაბუთა ევროპის გაერთიანების აუცილებლობა. 1958 წელს, ბრიუსელში საერთაშორისო ფორუმზე გამოსვლისას, მიხეილ მუსხელიშვილმა ინსტიტუციების შექმნის საკითხი დასვა, რაც მალე განხორციელდა და შეიქმნა თანამედროვე ევროკავშირის ინსტიტუტები.

მიხეილ მუსხელიშვილის სახელს უკავშირდება ევროპის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემების ჰარმონიზაციის იდეა (დღევანდელი ბოლონიის სისტემა), ხელს უწყობდა ქართული დიპლომების და ცოდნის საერთაშორისო აღიარებას და ქართველების მობილობას უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში და პირიქით, უცხოელების საქართველოში სწავლას.

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპაში საზღვრების მოშლის ერთ-ერთი ინიციატორი. მან 1951 წელს 8 ქვეყნის 300-ზე მეტ სტუდენტთან და სამ თანამოაზრე პროფესორთან ერთად, სიმბოლურად მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, რაც გულისხმობდა ევროპის ტერიტორიაზე უვიზო მიმოსვლას. მან საფუძველი ჩაუყარა შენგენის ზონის შექმნას ევროპაში.

სტრასბურგის უნივერსიტეტში ის ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ევროპის კვლევით ცენტრს. ეს ცენტრი დღესაც არსებობს და „მუსხელის ცენტრის“ სახელს ატარებს. მიხეილი იყო პატარა ერების უფლებების დამცველი (ბევრს წერდა ევროპულ პარალელებზე “საქართველო და ევროპა”, “ქართულ-ევროპული მოძრაობის მემორანდუმი,” „რუსეთი არ არის ევროპა“ და სხვ).

მიხეილ მუსხელიშვილი გატაცებული იყო ალპინიზმით, დალაშქრა ალპების ბევრი მწვერვალი, მაგრამ 1964 წელს იგი იტალიაში კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა. ევროპულ პრესაში მის გარდაცვალებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. “უნივერსიტეტთა სამყაროსათვის, ევროპულ მოძრაობათათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია”,- წერდა ფრანგული გაზეთი „მონდი“, ხოლო სტრასბურგის უნივერსიტეტის

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა – მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 4

საბჭანტო ჯონჯუჩსი დამწყები და არსებული მეწარმეებისთვის

“ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 4” ინიცირებული და დაფინანსებულია ბპ-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენის კომპანიაში.

პროექტის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება ბპ-სა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) გასწვრივ მდებარე სამიზნე თემებსა და იგპ-თა დასახლებებს შორის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის და კეთილდღეობის ამაღლების მეშვეობით მცირე და საშუალო და აგრობიზნესის განვითარების გზით.

პროექტს ახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი CTC, რომელიც აცხადებს **საგრანტო კონკურსს დამწყები და არსებული მეწარმეებისათვის.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ დასავლეთის მიმართულების (ბაქო-სუფსის) საექსპორტო მილსადენის გასწვრივ მდებარე სამიზნე თემებისა და იგპ-თა დასახლებების მცხოვრებლებს, რომელთაც გააჩნიათ მკაფიო ბიზნეს-იდეა და მოტივაცია საკუთარი ბიზნესის შესაქმნელად, გარდა:

- 18 წლამდე ასაკის პირებისა;
- პირებისა, რომლებიც არ ცხოვრობენ ან/და არ არიან რეგისტრირებული მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის სამიზნე სოფლებში და იგპ-თა დასახლებებში;
- პირებისა, რომლებიც რეგისტრირებული არიან მოვალეთა რეესტრში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც პირის მიმართ ხორციელდება ამორიცხვა მოვალეთა რეესტრიდან;
- სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის, სპეციალისტების და მათი ოჯახის წევრებისა;
- მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის წინა ფაზის ბენეფიციარებისა, რომელთა დაფინანსების დღიდან გასულია 5 წელიწადზე ნაკლები დრო;
- იურიდიული პირების, ამხანაგობების და გაერთიანებებისა.

საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებია: სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო,



სამართლის ფაკულტეტის დეკანმა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში თქვა: "ჩვენი მეგობარი მიშელ მუსხელი იმ პირველ მოაზროვნეთა შორის იყო, ვინც ევროკავშირის შექმნის იდეა შემოიტანა და ამ იდეის შექმნისთვის იბრძოდა კიდეც სტრასბურგში." მიხეილის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წელს, ორი იტალიელი სტუდენტი ავიდა მონბლანზე და მუსხელის სახელზე ევროკავშირის დროშა ააფრიალა.

სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და საერთაშორისო საჯარო სამართლის კათედრის გამგე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მუსხელიშვილი დაკრძალულია საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში.

თუ ფსიქოლოგიური დახმარება გჭირდებათ...

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში შეხვედრა გაიმართა გამგეობის და ფონდ "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი" (გიფ-ით) და მისი პარტნიორი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" წარმომადგენელთა შორის.

შეხვედრის მიზანი იყო დევნილი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხილვა, როგორც ფინანსური ასევე სამედიცინო კუთხით.

პროექტით დაგეგმილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლებში დასახლებული, 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის ფსიქოსოციალური მომსახურება, მათ შორის: ინდივიდუალური კონსულტაცია, ჯგუფური მუშაობა და ოჯახური კონსულტაცია.

თუ აწყდებით სირთულეებს ურთიერთობისას, ავლენთ ემოციურ პრობლემებს, გაქვთ ძილის პრობლემები ან სამედიცინო მიზეზით აუხსნელი სხვა სომატური ჩივილები, შეგიძლიათ კონსულტაციის ან დახმარების მისაღებად დაუკავშირდეთ ტელეფონებზე: 599 801039; 591 634179; 591 633903; 599 164447.

გადამამუშავებელი და შემნახველი წარმოება, კლიმატგონივრული და ბიო/ორგანული წარმოება, დივერსიფიკაცია და ინოვაციური ტექნოლოგიები, ღირებულებათა ჯაჭვის შექმნა და სხვ.

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ განაცხადის შემოტანა სამი სახის გრანტებზე:

1. დამწყებ მეწარმეებს - მაქსიმალური ოდენობით 5000 ლარი;

2. არსებულ მეწარმეებს - მაქსიმალური ოდენობით 10000 ლარი ან მაქსიმალური ოდენობით 20000 ლარი.

აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონკურსანტების თანადაფინანსება მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 30%-ს ოდენობით დამწყები ბიზნესის შემთხვევაში და მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 40%-ს ოდენობით არსებული ბიზნესის შემთხვევაში.

გრანტის თანხით დაშვებულია მხოლოდ კაპიტალური აქტივების შეძენა: მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა, მოწყობილობები, ინსტრუმენტები, ორგტექნიკა, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი, საწარმოო ავეჯი.

საგრანტო კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

1. წარმოდგენილი განაცხადები განიხილება შესარჩევი კომისიის მიერ, რომელიც შეაფასებს მათ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: აღწერის დეტალურობა, განხორციელებადობა, ბიზნეს-იდეის ინოვაციურობა, მდგრადობის პოტენციალი და პერსპექტიულობა, განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და ბიუჯეტის რეალისტურობა.

2. მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტები გაივლიან ბიზნეს-გეგმის შედგენის ტრენინგს და შეიმუშავებენ ბიზნეს-გეგმებს, რომლებიც შეფასდება შესარჩევი კომისიის მიერ.

3. საბოლოო ეტაპზე გადასული კონკურსანტები მოახდენენ ბიზნეს-გეგმების პრეზენტაციას შესარჩევი კომისიის წინაშე.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი ბიზნეს-იდეის აღწერით უნდა გამოაგზავნონ 2024 წლის 2 თებერვლის 17:00-მდე, ერთ-ერთზე ქვემოთ მითითებული ელექტრონული ფოსტებიდან, თავიანთი მუნიციპალიტეტების მიხედვით ან შეავსონ ონლაინ-განაცხადი.

დაგვიანებით წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.

კითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: მაია მამასახლისი, ბიზნესის განვითარების სპეციალისტი გარდაბნის, მცხეთის, კასპის და გორის მუნიციპალიტეტებში. ტელ: 599 731164,
email: maia.mamasakhlisi@ctc.org.ge

ავიღებ ფერებს, ქართულ მიწას რაც აამზევებს...

ვიტალი ქენქაძე

მირაჟი მე-10 საუკუნის ქსნის ხეობიდან

კორინთა კორინთოსა ჰგავს,
ალევი, ალებ-დევური,
სადა გყავთ,
გრუელ-გდუელნო,
გმირი გოდერძი მგდეური!
შესძახეთ, ჩამოეშველოს
ხმალში დაჩი კორინთელსა,
გატეხილ შუბს მტერს პირს სჩრიდეს,
ხელში ხმალს აწვდიდეს მთელსა.
სამებაში სამხთოთ მღერდნენ,
მტერზე გამარჯვებას ძმისას,
ღამისთევით კარავს შლიდნენ,
თავისობდნენ კახთა ჭირსა.

ნუ მეტყვი!

ნუ მეტყვი, მტერმა, ჩემო ლარგვისო,
მკერდზე მახვილი როგორ დაგვისო,
როგორ გაგვთოფა, როგორ გაგვთოკა,
მწვანე თვალები ცრემლით აგვივსო.
როგორ გათელა მიწა საგანძე,
და საყვავილე გედესკარლების,
როგორ დადუმდა წმინდა თევდორეს
ცხავატურ ვაზის საყდრის კარები.
სიკვდილი მიმძიმს, ყოფა მრცხვენია,
რომ მიგატოვე კარგი, საჩინო,
მოვკვდე და სული დიდ წინაპრებთან
სირცხვილით როგორ გამოვაჩინო!

* * *

ავიღებ ფერებს, ქართულ მიწას რაც აამზევებს,
ჯერ ცას დავხატავ ფიროსმანულს, მერე ლამაზებს,
მერე დავხატავ საქართველოს ერის მამამზეს,
ერეკლე მეფეს, – ივერიის ცხელ გულსა და მზეს.
მერე დავხატავ მუქი მწვანით ათქვირებულ მთებს,
კლდეზე დაკიდულ მდინარეებს,
როგორც მთების თმებს
და უბიწოებს, ჩაწოლილებს, მთებში ვით და-ძმებს,
გადაჭდობილებს ტკბილად ვაზთან,
როგორც ხმლები ხმლებს.
მერე დავხატავ საქართველოს ციხეებს, ტაძრებს
და მათ კედლებთან დამიწებულ მამა-პაპის ძვლებს,
შლეგ შანშეს, შალვას, ელიზბარს და ერთგულ იესეს,
რომ მათებრ შვილნი საქართველოს კიდევ მიეცეს.

ჰა ეპავშიჰებდათ ილია ჭავჭავაძესა და ტოლა ეჰისთავს?

1865 წელს ახალგორის სასახლეში დაიბადა ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავი. მამა, დავითი, იყო შვილიშვილი გიორგი ყულარაღასისა, – ერეკლე მეფის მოძულე ოპოზიციონერისა. თვითონ ნიკოლოზი (კოლა) კი, მამა საქართველოს ეროვნული გმირის შალვა ერისთავისა, ვინც 1921 წელს, ტაბახმელასთან, რუსის ტყვიამფრქვევს ზედ გადაეფარა. კოლას ცოლად ჰყავდა ზემო ქართლის თავადის ასული ტასო გიორგის ასული ციციშვილი.

კოლას ცხოვრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მეგობრობა „ქართველი ერის მამასთან“ ილია ჭავჭავაძესთან. კოლამ თავისი პირველი შვილი გიგუშა, რომელიც, სამწუხაროდ, 7 წლის ასაკში გარდაიცვალა, ილიას მოანათვლინა.

ძალიან ჰყვარებია დიდ მგოსანს ახალგორში სტუმრობა. ილიასი და მისი ნათელ-მირონის ფასი კარგად იცოდნენ ახალგორის ერისთავებმა, ამიტომ იყო, რომ ყველა ეთაყვანებოდა მგოსანს. კოლას ქალიშვილებს დიდი სიყვარულით გამოჰყავდათ ცნობილი აფორიზმები მოქარგულ აბრეშუმზე და ტილოზე. ჩვენამდე მოღწეულ ერთ ძველ ფოტოზე ოჯახის დიასახლისის უკან მოჩანს შირმაზე გადაჭიმული, ერისთავის ქალების ხელით ამოქარგული სიტყვები:

„იცოცხლე დიდხანს, ჩვენო ილია,
შენით აქვს ქართველს დიდი გულია”.

ილიას ახალგორში განსაკუთრებით მოსწონდა ციციშვილის ქალის სამზარეულო, მრავალ უგემრიელეს საჭმელებიდან გამორჩეულად კი ტასოს მომზადებული ლობიო, რისთვისაც არა ერთხელ ასულა ფაეტონით, როგორც საგურამოდან, ისე თბილისიდან, ახალგორის ამურებით და იორდა-სალამთა თაიგულებით მოხატულ სასახლეში ლობიოს დასაგემოვნებლად.

,,ლობიოს საჭმელად, არც თუ იშვიათად სტუმრობისას ჭიშკრის ჭადრებთან, საამურად გაიწკრიალებდნენ ილიას ეტლში შებმულ ცხენთა ეჟვნები”, წერს მემუარებში ივანე ციციშვილი.

ცნობილია, რომ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ქართლში დიდ დღესასწაულად ითვლებოდა ,,ილიაობა” (20 ივლისი), რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობდა. დღეობა არ ჩატარებულა ისე, რომ მასზე კოლა და ტასო არ ყოფილიყვნენ მიწვეულნი და თან კოლა, როგორც სუფრის ხელმძღვანელი - თამადა!

სურათზე: ზის კოლა ერისთავი

მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც იმხანად წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის მოწაფედ ითვლებოდა ოთხგზის მონაწილე ყოფილა ,,ილიაობისა”. სწორედ ის იგონებს კოლა ერისთავის თამადობას ილიას დღესასწაულზე, იგონებს როგორც ენამჭევრს და ილიას დიდ მეგობარს.

მეკვლე

ლელა ზაქიძე

ბარაქიანად ბარდნიდა, დეკემბრის ბოლო დღე ნელა გადიოდა, თითქოს წასვლა უჭირდა... სოფელში ახალი წელი მობრძანდებოდა. დედა ოთახის კედლების კირით შეთეთრებას ჩქარობდა. ახალ წელს სუფთა ოთახში უნდა შეხვედროდა თავისი შვილებით.

როგორც იქნა, საქმეს მორჩა, კირით დამწვარი ხელებით კვერცხები ემალის ბადეში ძლივს ჩაამტვრია, შაქრის ფხვნილი მოაყარა და გასათქვეფად მომაწოდა. ჩემმა უმცროსმა ძმამ დამასწრო, გათქვეფა მან ითავა და საქმეს გულმოდგინედ შეუდგა.

– წყალია მოსატანი, – თქვა დედამ და გარეთ გავედით. მუხლამდე თოვლი გავკვალეთ და ძაფივით მოწანწკარე წყალს დედამ დოქი შეუდგა. უცნაურად შემომხედა.

– შვილო, გადავწყვიტე ამ ღამეს კარი ჩავკეტო.

– რატომ, დედა?

– რატომ დაა... ჩვენი მეზობელი ლენა, ყოველ ახალ წელს მეკვლედ შემოდის ცარიელ-ტარიელი, ერთი კამფეტიც არ უდევს ჯიბეში, მე კი სუფრასთან დავსვამ, ვუმასპინძლდები, მერე თეფშს გავუვსებ ტკბილეულით და გახარებული მიაქვს, შვილო, ჩემი სახლიდან სიტკბო მიაქვს თავის სახლში.

– დედა, აბა, დაფიქრდი, როგორი იყო ჩვენთვის შარშანდელი წელი: მე უმაღლეს სასწავლებელში მოვე-

დასასრული მე-11 გვერდზე

„...თამადა კოლა ერისთავია, სვავს და სხვებსაც ასმევს, თან ენამჭევრობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევინებს. ილიას მეუღლის - ოლღას სადღეგრძელოს, რომ გამოაცხადებდა, უეჭველად ,,განდეგილის" ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე. ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ულხენს და თვითონაც ილხენს."

1907 წელს დიდი ტკივილითა და ცრემლისღვრით დაიტირა მთელმა ახალგორმა დიდი ილია. არ ქრებოდა ერისთავების სასახლეში ნათლიდედის - ტასო ციციშვილის ხელით დანთებული სანთელი ილიას სულის პატივსაცემად.

1933 წელს ახალგორის სასახლეში კოლას ოთახიდან ბოლოს ილია ჭავჭავაძის სურათი ჩამოიღეს, სხვა ყველაფერი ჩამოყარეს!

სოტა ჩამ ახალგორელ ასულზე _ ქეთევან ეჩისთავზე

მინდა გიამბოთ, თუ როგორი ქალები იბადებოდნენ და იზრდებოდნენ ქსნის ხეობაში. ამჯერად ერისთავის ცნობილ, გერგილიან, უჭკვიანეს ქალბატონზე ვიტყვი, – ქეთევან გიორგი (სენატორის) ასულ ერისთავზე, რომელიც მეუღლემ – მამუკა ორბელიანმა გააღარიბა, შეუძლებელ მოვალედ აქცია, მაგრამ თავისი დამსახურებით, 73 წლის ასაკში ისე მოახერხა გამდიდრება, რომ კვლავ გააგრძელა ქველმოქმედება.

ახალგორელი ქეთევანი პირველი სცენისმოყვარე ქალია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გ. ერისთავის ,,გაყრაში", 1850 წელს. შეასრულა მიკირტუმ გასპარიჩის ცოლის თათელას როლი, ,,დავაში" კი – ლომისეულის როლი.

მოგვიანებით იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დიდი პატივისცემის გამოხატვით ქეთევანს უბოძა ხარისხი ,,კავალერსტვეინნაია დამა". საქართველოში სულ ორი ქალბატონი ატარებდა ამ საპატიო ხარისხს, – ერთი იკოთის სასახლეში მჯდომი კნეინა ქეთევანი და მეორე მისივე ასული ალექსანდრა (საშა) ლევან მელიქიშვილის მეუღლე.

ხანდაზმულად ითვლებოდა უკვე იკოთის სასახლის ბრწყინვალე კნეინა, როცა საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე. ქართველობამ, რა თქმა უნდა, გაუმართა ნადიმი. ამ ნადიმზე პირველი ცეკვა უნდა დაეწყო ხელმწიფეს. ეს ცეკვა იყო პოლონური, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქალსა და კაცს ხელჩაკიდებულებს რამდენჯერმე უნდა შემოევლოთ დარბაზში, რა საკვირველია, მუსიკით...

როდესაც ნადიმზე „პოლონეზი" დაუკრეს, ხელმწიფე მივიდა ჯერ ქეთევანთან და სთხოვა, მასთან ეცეკვა. კნეინა ბრძანდებოდა დეკოლტეთი და გულზე ჰქონდა გადაკიდებული დიდი ლენტი, ნიშანი მისი ხარისხისა. ერთხელ შემოუარეს დარბაზს სიჩუმით, მეორედ ქეთევანმა მიმართა ხელმწიფეს და უთხრა: „თქვენო საიმპერატორო აღმატებულებავ, თქვენ ცეკვავთ შეუძლებელ მოვალესთან!" ხელმწიფემ ყური მოიყრუა, მაგრამ როდესაც გაუმეორა, უპასუხა: ,,თქვენ არ შეიძლება იყოთ შეუძლებელი მოვალე, თქვენ 10 დესეტინა ნავთობიანი მიწა გაქვთ ბაქოში".

ქეთევანი მიხვდა, რასაც ეუბნებოდა და მადლობა გადაუხადა სხვისი მიწის ჩუქებისთვის. ამ ამბის შემდეგ კნეინას გაუგრძელებია ჩვეული ქველმოქმედება, 100 თუმანი უანდერძა ქართულ დრამატულ საზოგადოებას. ქონების დიდი ნაწილი სხვა ეროვნულ საქმეებს მოახმარა.

კნეინამ 1907 წელს მუხრანელ ბაგრატიონებზე გაყიდა იკოთის სასახლე. გარდაიცვალა 90 წლის. აკაკი წერეთელმა დიდებული ნეკროლოგი გამოაქვეყნა ჟურნალში და დიდი შეფასება მისცა, ახალგორში დაბადებულ და სიონის ტაძარში დაკრძალულ, ქსნის ერისთავიანთ ქალბატონს.

აკაკი წერდა: ,,ამბობენ, სიცოცხლეში ხშირად ინატრებდა ხოლმე განსვენებული, რომ ნეტავი იკორთაში დამმარხავდნენო! ეს ნატვრა უსაფუძვლო არ არის და კიდევაც შეეფერებოდა განსვენებულს. იკორთა ერთი იმ ძველ მონასტერთაგანია, სადაც არა თუ მარტო ერისთავთა გვარეულობის ისტორია, თვით მთელი საქართველოსიც კი დიდებულათ დაკრძალულია. აქ არის გმირთა სავანე..."

17 დეკემბერი — ბარბაროზა

წმინდა მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, 17დეკემბერს, ბარბაროზის დღესასწაული აღინიშნება.

დიდმოწამე ბარბარე, იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს ეწამა ქრისტესთვის. წმიდანი ქალაქ ილიოპოლში ცხოვრობდა. ის შეძლებული დიდგვაროვნის — დიოსკორეს ოჯახში დაიბადა.

დიოსკორე ადრე დაქვრივდა და მეუღლისგან ერთადერთი შვილი, ბარბარე დარჩა. მამას ძალიან უყვარდა ქალიშვილი, ამიტომ გადაწყვიტა უცხო თვალისთვის მოერიდებინა, კოშკში გამოკეტა და მისი აღზრდა წარმართ მასწავლებლებს მიანდო. როდესაც ბარბარე კოშკიდან ბუნებას აკვირდებოდა, ხვდებოდა, რომ ასეთი მოწესრიგებული და ლამაზი გარემო, კერპების შექმნილი არ იქნებოდა. ამის შემოქმედი მხოლოდ ერთი, უმაღლესი, უზენაესი ძალა უნდა ყოფილიყო.

როდესაც ბარბარე გაურკვევლობაში იყო, კოშკში გამოკეტილი, ღვთის წყალობით, მას გაუჩნდა სურვილი ჭეშმარიტება ეპოვა. ასევეა ნებისმიერი ადამიანიც, რა გარემოშიც არ უნდა იყოს, თუკი მას ჭეშმარიტების შეცნობა უნდა, შემოქმედი მას ყოველთვის გამოუჩენს გზას, რომელიც უფალთან მიიყვანს და აცხონებს.

ამასობაში, წმიდა ბარბარეს მშვენიერების შესახებ ქალაქში ხმა გავრცელდა და უამრავი ჭაბუკი გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნიდან, მისი ხელისა და გულის მაძიებელი. დიოსკორემ ასულს შესთავაზა, მთხოვნელთა შორის თავად აერჩია გულისსწორი, რაზეც წმინდანმა მკაცრად მიუგო, რომ ის გათხოვებას არ აპირებდა.

მამამ იფიქრა, ბარბარეს ჩაკეტილმა ცხოვრებამ და მარტოობამ გადაუსხვაფერაო ხასიათი. მას კოშკიდან გამოსვლის ნება დართო და თავისუფლება მიანიჭა, რათა თავისით აერჩია მეგობრები და გაუცხოვება განექარვებინა.

ცოტა ხანში დიოსკორეს საქმეების გამო გამგზავრება მოუხდა. ამ დროს, წმინდა ბარბარემ, უფლის განგებით, ქრისტიანი ქალწულები გაიცნო, რომლებმაც ყოვლადწმინდა სამების შესახებ აუწყეს მას. ბარბარემ ეს ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, შეიმეცნა და ქრისტიანობა მიიღო. ამის შემდეგ წმინდანმა იწყო გულმოდგინედ ლოცვა და მარხვა, დადო ქალწულობის აღთქმა და გადაწყვიტა სიცოცხლე ღვთისათვის მიეძღვნა.

ერთხელ, როდესაც ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც დიოსკორეს ბრძანებით დიდ აბანოს აშენებდნენ, წმინდანმა აბანოს მარმარილოთი მოპირკეთებულ შესასვლელში თითით ჯვარი გამოსახა, ქვის საფეხურზე კი მისი ტერფის ანაბეჭდი ამოიკვეთა, საიდანაც წყარომ ამოხეთქა და შემდგომში უკვე მრავალი სასწაულებრივი კურნება აღასრულა.

დიოსკორეს ბრძანების მიხედვით, აბანოს ორი სარკმელი უნდა ჰქონოდა — მზისა და მთვარის ნიშნად, ბარბარემ კი მშენებლებს მესამე სარკმლის გამოჭრაც სთხოვა, ნიშნად წმინდა სამებისა.

შინ დაბრუნებულმა დიოსკორემ, იხილა რა სამი სარკმელი, მშენებლებს გაუჯავრდა, მაგრამ ბარბარემ აღიარა მამასთან ჭეშმარიტი სარწმუნოება და შეეცადა დიოსკორეც მოექცია. მამა ისე გაუბრაზდა, მახვილი იშიშვლა და მოსაკლავად გამოეკიდა, ბარბარემ გამოქვაბულში დამალვა მოახერხა, მაგრამ ის ცოტა ხნის შემდეგ მაინც შეიპყრეს.

დიოსკორემ საკუთარი ასული მმართველ მარტიანეს მიჰგვარა. ქალწულის სილამაზით მოხიბლულმა მარტიანემ ტკბილი სიტყვით სცადა მისი გადაბირება, თუმცა არაფერი გამოუვიდა, ბარბარე მტკიცედ იდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

წმიდა ბარბარეს ურჩობით განრისხებულმა მმართველმა ბრძანა, ტყავის შოლტებით ეგვემათ წმინდანი და სასტიკად აწამებინა. მაგრამ ნაწამებ ქალწულს თავად იესო ქრისტე გამოეცხადა და განკურნა და გაამხნევა. მეორე დღეს, როდესაც ბარბარე მტარვალების წინაშე იხილეს — ის სრულიად განკურნებული იყო.

მმართველმა ეს ყოველივე კერპებს მიაწერა, რადგან არ სურდა ერწმუნა ჭეშმარიტება. ბარბარესაც მოუწოდა თაყვანი ეცა კერპთათვის, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ამიტომ ის ამჯერადაც სასტიკად გვემეს, ოღონდ, ახლა უკვე ხალხის წინაშე.

ასულის სიმტკიცით გაოცებულმა ჯალათებმაც კი ირწმუნეს ქრისტე, რისთვისაც უმალვე დაისაჯნენ სიკვდილით.

ბარბარეს წამების საცქერლად შეკრებილ ბრბოში იდგა ილიოპოლელი ქალწული იულიანაც, რომელიც თანდათან ივსებოდა წმიდა მარტვილისადმი თანაგრძნობით და მის მსგავსად, ქრისტესთვის თავგანწირვის სურვილით ინთებოდა. ბოლოს ნეტარმა ხმამაღლა დაიწყო მტარვალთა მხილება, რისთვისაც მსწრაფლ შეიპყრეს და ბარბარესთან ერთად სანამებლად შეაგდეს.

წმიდა ბარბარეს და იულიანას, სამოს შემოძარცვულებს დაატარებდნენ ქუჩებში, სცემდნენ, დასცინოდნენ... უფლის ანგელოზებმა კი ნეტარქალწულთა სიშიშვლე სპეტაკი სამოსით დაჰფარეს, რითაც უხილავი შეიქმნა მათი სიშიშვლე.

ამდენი დამცირების შემდეგ ბარბარეს თავის მოკვეთა მიესაჯა და ის თავად დიოსკორემ გაიყვანა დასასჯელად. მაშინ, წმინდა ქალწულმა ითხოვა, რომ მისთვის ხელები გაეხსნათ, რათა ელოცა, პასუხად კი დაცინვა მიიღო. ამ დროს გაისმა ხმა ზეციდან: "მოვედ, წმიდაო ბარბარე, დისა შენისა იულიამას თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა შენსა მათ თანა და ყოველი, რომელი ითხოვე. მიმიცემიეს შენდა და უფროისი ამისსა მიგცე შენ". ამის შემდეგ დიდი სიხარულით მოუდრიკეს ქედი მახვილს. წმინდა ბარბარე მამამისის ხელით აღესრულა. როგორც კი დიოსკორემ ასულს მახვილი დასცა, იმავ წამს ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. ზეციდან წამოსული შემოსული საშინელი ცეცხლი დაატყდა მას თავს და ერთიანად დაწვა. მისი ფერფლი კი უეცრად ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა. ასევე, დაისაჯა მარტიანეც, სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და მისგან მტვერიც აღარ დარჩა.

მორწმუნე ქრისტიანებმა წმინდა ბარბარეს პატიოსანი ნეშტი პატივით დაკრძალეს. VI საუკუნეში ნეტარი დიდმონამის წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, საიდანაც XII საუკუნეში კიევში იქნა გადასვენებული. ამჟამად, წმინდა ბარბარე კიევის ლავრაშია დაკრძალული.

ბარბარობასთან დაკავშირებით წირვა საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში აღევლინება.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე ბავშვების მფარველად მიიჩნევა. მას ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისა და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის. ბარბარობაზე საზეიმო წირვას ყოველთვის განსაკუთრებით ბევრი ბავშვი ესწრება.

ამ დღეს ბევრ ქართულ ოჯახში, ხალხური ტრადიციისამებრ, ლობიანს აცხობენ და ბარბარობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რიტუალს — მეკვლეობის წესს იცავენ.

საიდან იღებს სათავეს ლობიანის ბამოსხობის ტრადიცია

რაც შეეხება ლობიანის გამოცხობის ტრადიციას, ეს წარმართული ადათიდან მოდის და მას წმინდა ბარბარესთან არანაირი კავშირი არა აქვს. ქართულ წარმართულ პანთეონში აქტიური ადგილი ეკავა მზის ღვთაებას, ქალღმერთ ბარბალეს. მის პატივსაცემად დღესასწაულზე აცხობდნენ მზის დისკოს ფორმის ღვეზელებს. ღვთაების მდედრობითი სქესისა და სახელთა დიდი მსგავსების გამო რიგითი მორწმუნეების გარკვეულ ნაწილში მოხდა ორი სუბიექტის გაიგივება—აღრევა. გაიგივების გამო წმინდა ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულზე აცხობდნენ ბარბალესადმი მიძღვნილ ღვეზელებს.

რადგან წმინდა ბარბარეს ხსენება აღინიშნება შობის მარხვაში, ხალხური ადათი ქრისტიანულ ჭრილში გადავიდა და ღვეზელი სამარხვო მზადდებოდა. მოგვიანებით, როდესაც საქართველოში ლობიო გავრცელდა, ღვეზელის შემადგენლობაში მან დაიმკვიდრა ადგილი.

საქართველოში წმინდა ბარბარეს ოდითგან სცემენ თაყვანს. მხოლოდ თბილისში მისი სახელობის ოთხი ეკლესიაა, რომელთაგან ერთ-ერთი VIII საუკუნისაა.

მეკვლე

მე-9 გვერდიდან

წყე, სახლს ახალი სახურავი გადავაფარეთ, კარგი კიბეც გავუკეთეთ, ოჯახში ცუდად არავინ არ ვყოფილვართ.

– უიიი, მართალი ხარ, შვილო, მართალი, მაგ ფეხებმოსამტვრევს, კარგი ფეხი რომ აქვს, არ იცის. რომ იცოდეს, არ შემოვიდოდა, – უკან არ დაიხია დედამ.

ორივეს გულიანად გაგვეცინა.

სახლში მისულებს ელდა გვეცა: ჩემი ძმა მუცელგაბერილი იწვა ტახტზე და კრუსუნებდა. მაგიდაზე ცარიელი ემალის ბადია იდგა.

– ვაიმეე, – ხელი შემოირტყა თავში დედამ, – გათქვეფილი ოცი კვერცხი როგორ შეჭამე, შვილოო!.. რა ვქნა, რომ მოკვდეს?!.

მე და დედა სოფლის ექიმთან გავიქეცით.

– გოგი ექიმო, მიშველეთ, შვილი მიკვდება, გამომხედეთ! – ემუდარებოდა ექიმს დედა.

– ლექსს ვწერ, მაცადეთ!.. შიგნიდან უკმაყოფილო ხმით გამოგვძახა ექიმმა.

– ეხლა შენ რომ არ დაწერო: ,, ქსნის ხეობაში გაშლილა/ ჩვენი სოფელი ლარგვისი, / მისი ეშხით და მშვენებით / გული ივსება ხალისით“, ჩვენ არ ვიცით, რაა! – გადაირია დედაჩემი, – გამოგვხედე!

გოგი ექიმმა სათვალის ზემოდან მოგვისმინა, – სოდიანი წყალი! – თქვა და სწრაფად მიიხურა რითმებით სავსე ოთახის კარი.

ჩემი ძმა გადარჩა.

– დედა, ესეც ჩვენი მეზობელი ლენას შარშანდელი მეკვლეობის დამსახურებად ჩათვალე! – შევახსენე.

ღუმელი ღუღუნებდა, ათასფრად ბრწყინავდა ოთახში ნაძვის ხე. ჩაგვეძინა... დილაუთენია დედამ ღიმილიანი სახით გაგვაღვიძა, გოზინაყით ახალი წელი მოგვილოცა და საწოლში ჩაგვკოცნა.

– დაიკო, დაიკო! ფანჯრის მინებს შეხედე! რა სილამაზეა!

ყინვას მინები შეეჭირხლა , შევცქეროდით ენით აუწერელ სილამაზეს. მას შემდეგ ასეთი ნაქარგი, ზღაპრული სილამაზე არასოდეს მინახავს. სარკმელს ფეხშიშვლები მივცვივდით, ფრჩხილებით ჩამოვკაწრეთ პატარა სათვალთვალო ადგილი და გარეთ გავიხედეთ.

ზღაპარი, ქათქათა სითეთრე, ხვავრიელი თოვლი. მდინარის წყნარი ხმაურისაგან მიძინებული ბუნება ნელ-ნელა ფხიზლდებოდა. მიჯნაზე მდგარი დათოვლილი ტყემლის ხე ბეღურებს მოერთოთ, წყნარად ჟღრუტულებდნენ. მდინარის გაღმა, ნადირის ნაკვალევით აჭრელებული მინდორი საოცრად გამოიყურებოდა.

– მოდი, მოდი! – ტკბილეულობით სავსე ლანგრით ღიმილით ეგებებოდა დედა მეკვლეს. სახლის ზღურბლთან ტრადიციულად ლენა დეიდა ოთახში შემოსასვლელად თოვლიან ფეხსაცმელებს აბაკუნებდა.

31 დეკემბერი, 2021 წელი
ახალგორი. ლარგვისი

მეგობრები და ოჯახის ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლევან ქენქაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საახალწლო ზეიმი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

ახალგორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა დევნილთა სამივე დასახლების ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა!